ფანასკერტელს

– მაშ გაჰქრა ქართლი, მისი ენაცა,
პირქვე დაემხო წმინდა ტაძარი?
გული დიდ სევდას ამოენაცრა,
– მშვიდობით, გახდი მტრის ნატაცარი!

სხვა რაღა იყოს მწარე ამაზე,
რა შეედრება ასეთ ღაღადისს ? –
შენს დედა ენას, მის სილამაზეს
გამოეთხოვო, უთხრა. ნახვამდის!

და მერე დადგე გაქვავებული,
უიმედობის დიდი იმედით,
რომ აღარ მოვა ქართლს გაზაფხული,
რომ სამუდამოდ გავიყინებით!

შენ დადიოდი შენს სამშობლოში
როგორც მწირი და ოხერმოხეტე,
ღამით მე შენი ვმინვა მსმენია,
ხმა ნამწარეი: "ღმერთო, მოხედე!"

და ახლა, როცა ჩემს ხალხს, ჩენს ენას,
სიკვდილის ჭანგი ვეღარ ემტეროს, –
როგორც განვლილი გრძელი სიზმარი,
შენ მაგონდები ანასკერტელო!

და შენ, მიწაში გამტვერებულო,
ჰა, სიტყვა გულის გასათაფლავი:
არა, ქართლს, არა
– შენ ფიქრს გასთხრია
სამარადისო, მკვიდრი საფლავი!